



ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის:

გარემო და  
კლიმატის ცვლილება:  
ცოდნის რუკა



WFD



# გარემო და კლიმატის ცვლილება: ცოდნის რუკა



„კლიმატის ცვლილების ცოდნის რუკა“ თავს უყრის გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ მონაცემთა წყაროებს კლიმატის ცვლილების შესახებ. დოკუმენტი შეიცავს წამყვანი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების სიას, რომლებიც კლიმატის ცვლილების შესახებ ანგარიშებსა და შეფასებებს ამზადებენ - მათ შორის ანგარიშებს არსებული მდგომარეობის, პოლიტიკის ანალიზის და კლიმატის ცვლილების სამომავლო ზემოქმედების შესახებ. ანგარიშები შეიცავენ მკვლევრების, პოლიტიკის შემქმნელების, მედიისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო მითითებებსა და ინფორმაციას კლიმატის ცვლილების უკეთ გასაგებად და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.



## კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC)

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი გაეროს მთავრობათაშორისი ფორმატია. პანელი ამზადებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სიღრმისეულ შეფასებებს, სადაც თავმოყრილია უახლესი სამეცნიერო, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია. პანელი პოლიტიკის შემქმნელებს აწვდის რეგულარულ სამეცნიერო შეფასებებს კლიმატის ცვლილებაზე, მის შედეგებსა და მასთან დაკავშირებულ პოტენციურ სამომავლო რისკებზე.

ვებსაიტი: <https://www.ipcc.ch/>

უახლესი ანგარიში

## გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)

გაეროს ის ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციაზე და მასთან ასოცირებულ სხვა შეთანხმებებზე, როგორცაა კიოტოს პროტოკოლი და პარიზის შეთანხმება. მისი სამდივნო გერმანიის ქალაქ ბონშია და მისი წევრია ფაქტობრივად ყველა ქვეყანა. ეს ორგანიზაცია აწყობს ყოველწლიურ კონფერენციას კლიმატის ცვლილების შესახებ („მხარეთა კონფერენცია“ ანუ, COP-ი), ისევე როგორც ბევრ სხვა ნაკლებად ცნობილ მოლაპარაკებას. კონვენციის ვებსაიტი შეიცავს ყველა მხარეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმებს, ინფორმაციას მიმდინარე პროცესებსა და მომავალ შეხვედრებზე და სხვა მასალას. როგორც გაეროს ყველა სხვა ორგანიზაცია, კონვენციას მართავენ მისი წევრი სახელმწიფოები, და არა მისი სამდივნო.

ვებსაიტი: <https://unfccc.int/>

## გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ძალისხმევის კოორდინაციაზე გაეროს სისტემაში. ის ფოკუსირებულია კლიმატზე, ბუნებაზე, დაბინძურებაზე, მდგრად განვითარებასა და სხვა თემებზე.

ვებსაიტი: <https://www.unep.org/>

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის საკვანძო რეგულარულ ანგარიშებსა და სხვა პროდუქტებს შორისაა:

### ემისიების სხვაობის ანგარიში

„ემისიების სხვაობის ანგარიში“ (EGR) აღწერს პროგრესს გლობალური დათბობის 2 გრადუსამდე შეკავების და 1.5 გრადუსის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის მიმართულებით.

[უახლესი ანგარიში](#)

### ადაპტაციის სხვაობის ანგარიში

ეს ანგარიში აფასებს პროგრესს ადაპტაციის მიმართულებით მიმდინარე დაგეგმარების, დაფინანსების და იმპლემენტაციის მიმართულებით.

უახლესი ანგარიში: <https://www.unep.org/resources/adaptation-gap-report-2022>

### წარმოების სხვაობის ანგარიში

ეს ანგარიში შეისწავლის უზარმაზარ განსხვავებას წიაღისეული საწვავის დაგეგმილი წარმოების მასშტაბსა და იმ მოცულობას შორის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია პარიზის შეთანხმების შეზღუდვების შესაბამისად.

[უახლესი ანგარიში](#)

### ჰაერის დაბინძურების გავრცელება რეალურ დროში

მონაცემები ჰაერის ხარისხის შესახებ რეალურ დროში.

ვებსაიტი: <https://www.iqair.com/unep>

### THE GLOBAL ENVIRONMENT OUTLOOK (GEO)

GEO გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მთავარი გარემოსდაცვითი ანგარიშია. ის ეყრდნობა დიალოგის ინკლუზიურ პროცესს, რათა მომზადდეს მიუკერძოებელი შეფასება ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის და იმ პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ, რომელიც ეკოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ ხორციელდება. ამასთან, ანგარიში განიხილავს სხვადასხვა საერთაშორისოდ შეთანხმებული მიზნების მიღწევის გზებს.

ვებსაიტი: <https://www.unep.org/global-environment-outlook>

[უახლესი ანგარიში](#)

## გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (CBD)

გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, როგორც კლიმატის კონვენცია, 1992 წელს, რომელიც შეიქმნა დედამიწის სამიტზე შეთანხმდა. თითქმის ყველა სახელმწიფო მისი ხელმოწერა, თუმცა წევრი არ არის ამერიკის შეერთებული შტატები. კონვენცია იმართება ორ წელიწადში ერთხელ და მას კრებს კანადაში, მონრეალში არსებული სამდივნო. კონვენციის მთავარი მიზანი „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და მისი კომპონენტების მდგრადი გამოყენებაა, ისევე როგორც გენეტიკური რესურსებისგან მიღებული სარგებლის თანასწორი და სამართლიანი განაწილება.“ როგორც კლიმატის კონვენციის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების კონვენციასაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება ახლავს, როგორიცაა კარტახენას პროტოკოლი ბიოსაფრთხოების შესახებ, ნაგოიას პროტოკოლი სარგებელზე წვდომისა და განაწილების შესახებ და კუნძინგ-მონრეალის გლობალური ბიომრავალფეროვნების [ჩარჩო](#).

ვებსაიტი: <https://www.cbd.int/>

## კლიმატის რისკის გლობალური ინდექსი (CRI)

კლიმატის რისკის გლობალური ინდექსი შეისწავლის ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების რაოდენობრივ ზეგავლენას, მათ შორის ფატალურობის კუთხით. ინდექსი ეყრდნობა Munich Re NatCatSERVICE მონაცემთა ბაზას, რომელიც ერთერთ ყველაზე სანდო და სრულყოფილ ბაზად ითვლება ამ საკითხებზე.

ვებსაიტი: <https://www.germanwatch.org/>

[უახლესი ანგარიში](#)

## მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO)

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია გაეროს სპეციალიზებული სააგენტოა, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერაზე ატმოსფერული მეცნიერების, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგიისა და გეოფიზიკის მიმართულებით.

ვებსაიტი: <https://worldweather.wmo.int/en/home.html>

## კლიმატისა და განვითარების ცოდნის ქსელი (CDKN)

კლიმატისა და განვითარების ცოდნის ქსელის (CDKN) მიზანია ყველაზე ღარიბი და კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მონყვლადი ჯგუფების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ვებსაიტი: <https://cdkn.org/>

## კლიმატის მოქმედების მთვლელი (CAT)

ეს კვლევითი კოლაბორაცია აჯამებს და აანალიზებს ყველაზე დიდი ქვეყნების კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საშიშვლებებს, რათა შექმნას მოსალოდნელი გლობალური დათბობის პროგნოზი. სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია მოსალოდნელი ტემპერატურის მატების მაჩვენებელს აახლებს. გლობალური განახლებების წარდგენა ხდება გაეროს კლიმატის სამიტებზე.

ვებსაიტი: <https://climateactiontracker.org/>

## Net Zero Tracker

კვლევითი კოლაბორაცია, რომელიც კრებს და აანალიზებს ქვეყნების, შტატების, რეგიონების, ქალაქებისა და დიდი კომპანიების ნულოვანი ემისიების სამიზნე მაჩვენებლებს. ორგანიზაცია აფასებს სამიზნე მაჩვენებლებს სანდოობის კუთხით, მათ შორის დამოუკიდებლად გადამოწმებადობის მიხედვით. ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს და სხვა მასალებს.

ვებსაიტი: <https://zerotracker.net/>

## გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელი ნუსხა

„წითელი ნუსხა“, რომელსაც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი აწარმოებს (იხილეთ დაინტერესებულ პირთა სია), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების ძირითადი სიაა. ორგანიზაცია აქვეყნებს განახლებულ ანალიტიკურ ანგარიშს ორ წელიწადში ერთხელ, თუმცა ნუსხა ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს.

ვებსაიტი: <https://www.iucnredlist.org/>

## თოვლისა და ყინულის მონაცემთა ეროვნული ცენტრი (NSIDC)

მიუხედავად მისი სახელისა, ორგანიზაცია აგროვებს რეალურ დროსთან მიახლოებულ მონაცემებს არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთლიანად პოლარული რეგიონის შესახებ. მაგალითად, ის არის ძირითადი ინფორმაციის წყარო უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ზღვის ყინულის დიდ შემცირებაზე არქტიკის რეგიონში.

ვებსაიტი: <https://nsidc.org/home>

## მსოფლიოს მყინვარების მონიტორინგის სერვისი

გლობალური სამეცნიერო კოლაბორაცია, რომელიც იმართება შვეიცარიიდან. აკვირდება და აანალიზებს მსოფლიოს მყინვარების მდგომარეობის ცვლილებას. აწარმოებს მონაცემთა ბაზას „რეფერენტულ მყინვარებზე“ ძირითად მთიან რეგიონებში, მათ შორის კავკასიაში, რაც გლობალური და რეგიონული ცვლილებების შეფასებისთვის გამოიყენება.

ვებსაიტი: <https://wgms.ch/>

## ევროპის გარემოს სააგენტო

ევროპის გარემოს სააგენტო შეიქმნა იმისთვის, რომ იყოს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოების მთავრობების მრჩეველი ყველა გარემოსდაცვით საკითხზე. ის აწარმოებს საკვანძო სტატისტიკას და ინფორმაციას მთლიანად ევროკავშირის ტენდენციებზე.

ვებსაიტი: <https://www.eea.europa.eu/>

# საქართველო და პარიზის შეთანხმება

პარიზის შეთანხმება სავალდებულოდ შესასრულებელი საერთაშორისო ხელშეკრულებაა კლიმატის ცვლილების შესახებ. ის დამტკიცდა შვეიცია მხარეთა 21-ე კონფერენციაზე პარიზში, 2015 წლის 12 დეკემბერს, 196 წევრის მიერ და ძალაში შევიდა 2016 წლის 4 ნოემბერს. მისი მიზანია რომ გლობალური დათბობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდეს 2 გრადუსს - და სასურველია არ აღემატებოდეს 1.5 გრადუსს - პრეინდუსტრიულ საშუალო ტემპერატურასთან შედარებით.

More: <https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>

## საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)

საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) მხარს უჭერს საქართველოს მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, რომელიც ითვალისწინებს როგორც კლიმატის ცვლილებას, ისე გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს.

ბმული: <https://mepa.gov.ge/GE/PUBLICINFORMATION/32027>

## საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია

„საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია“ და სამოქმედო გეგმა („კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“) გეგმარებითი და კოორდინაციის მექანიზმია ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით.

ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/32027/>

## საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით მზადდება.

ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/32027/>

## საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის განხორციელების ანგარიში

ეს ანგარიში ასახავს 2030 წლის სტრატეგიისა და 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსს.

ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53738>

## საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი

ბმული: [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp\\_ge\\_env\\_fourth-national-communication-to-unfccc\\_2021\\_geo.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_env_fourth-national-communication-to-unfccc_2021_geo.pdf)

## საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)

„გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა“ საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების მართვის დარგში.

ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047/>

[სამოქმედო გეგმა](#)

## საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია

სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს, სექტორული და მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს, რომლების დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებასთან.

ბმული: <https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/Agriculture-and-Rural-Development-Strategy-of-Georgia-2021%E2%80%932027.pdf>



# ენერგეტიკული გადასვლა

ეს არის იმ გლობალური ორგანიზაციების სია, რომლებიც ანალიზებენ და აშუქებენ გადასვლას სუფთა ენერჯიაზე. „სუფთა ენერჯია“ მოიცავს ენერჯიის განახლებად წყაროებს (ნაწილობრივ ბირთვულ ენერჯიასაც), ენერჯიის შენახვის საშუალებებს, „ნულოვანი ნახშირბადის“ სატრანსპორტო საშუალებებს (როგორცაა ელექტრო ავტომობილი), თბურ ტუმბოს და „მწვანე“ წყალბადს (რომელიც წყლის ელექტროლიზით მიიღება). ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან რამდენიმე წიაღისეულ საწვავზეც მუშაობს და სუფთა ენერჯიაზეც.

## საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA)

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო გლობალური მთავრობათაშორისი სააგენტოა, რომელიც ანალიზებს და ქმნის პროგნოზებსა და ტენდენციებს, ძირითადად ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, თუმცა ასევე ენერგეტიკული ხარჯებისა და დეკარბონიზაციის შესახებაც. ამავდროულად სააგენტო ტექნიკურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს. ის ასევე აქვეყნებს ყოველწლიური ანგარიშების სერიას, მაგალითად ნავთობის და ელექტროენერჯიის გლობალური ბაზრის და ენერგეტიკული ინვესტიციების შესახებ. 2021 წელს მან გამოაქვეყნა საეტაპო ანგარიში 2050 წლისთვის ნულოვანი ემისიები მიღწევის საუკეთესო გზაზე.

ვებსაიტი: <https://www.iea.org/> | [საქართველოს გვერდი](#) | [გზა ნულოვან ემისიებამდე](#)

## განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტო (IRENA)

განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტო (IRENA) ენერგეტიკული ტრანსფორმაციის მხარდამჭერი გლობალური მთავრობათაშორისი სააგენტოა, რომელიც ძირითადი პლატფორმაა საერთაშორისო თანამშრომლობისთვის და ქვეყნების მხარდასაჭერად ამ დარგში. ის თავს უყრის უახლეს მონაცემებს და ანალიზს ტექნოლოგიაზე, ინოვაციაზე, პოლიტიკაზე, ფინანსებსა და ინვესტიციებზე. მისი წევრია 167 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

ვებსაიტი: <https://www.irena.org/>

## ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტო

ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტო გაეროს სისტემის ნაწილია, თუმცა მას საკუთარი დამაარსებელი ხელშეკრულება აქვს. ორგანიზაცია ასრულებს რამდენიმე ფუნქციას მის წევრ სახელმწიფოებში. მათ შორისაა ბირთვული ტექნოლოგიის მშვიდობიანი გამოყენების მხარდაჭერა, ცოდნის გაზიარება უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტების დაწესება და საერთაშორისო მნიშვნელობის ინციდენტების გამოძიება.

ვებსაიტი: <https://www.iaea.org/>

## BP-ის ენერგეტიკის სტატისტიკური მიმოხილვა

ამ ყოველწლიურ ანგარიშს იყენებენ პოლიტიკოსები, კომპანიები და ჟურნალისტები. „საერთაშორისო ენერგეტიკულ სააგენტოსთან“ (IEA) ერთად, ეს ორგანიზაცია ინფორმაციისა და მიგნებების ძირითადი წყაროა გლობალური ენერგეტიკის შესახებ. ანგარიშს ამზადებს ნავთობისა და გაზის კომპანიის კვლევითი ქვედანაყოფი, თუმცა ის მაინც მიუკერძოებლად ითვლება.

ვებსაიტი: <https://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/statistical-review-of-world-energy.html>



## ენერგეტიკული გადასვლის კომისია

ენერგეტიკული გადასვლის კომისია (ETC) ენერგეტიკის სექტორის წამყვან აქტორთა გლობალური კოალიციაა, რომელიც მიზნად ისახავს ნულოვანი ჯამური ემისიების მიღწევას საუკუნის შუა ნაწილისთვის, როგორც ამას პარიზის შეთანხმება ითვალისწინებს. მისი ანგარიშები შეიცავს ისეთი სექტორების ღრმა ანალიზს, როგორიცაა მძიმე მრეწველობა და განიხილავს ნულოვანი ნახშირბადის ტექნოლოგიასა და მის ფასს.

ვებसाитი: <https://www.energy-transitions.org/>

პუბლიკაციები

## ემბერი (Ember)

არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც შეისწავლის და აანალიზებს ენერგეტიკულ გარდაქმნას. აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს გლობალურ ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე. სიღრმისეული გამოცემები ეხება ცალკეულ რეგიონებს, მათ შორის თურქეთს. როგორც წესი მონაცემები ხელმისაწვდომია უფასოდ.

ვებसाитი: <https://ember-climate.org/>

## ბლუმბერგის ახალი ენერგეტიკის ფინანსები

გლობალური საბაზრო ინფორმაციის მიმწოდებლის ეს განყოფილება ენერგეტიკული გარდაქმნის სხვადასხვა ასპექტების მოწინავე გამშუქებელია. მონაცემთა ნაწილი ხელმისაწვდომია კომერციულად, ინვესტორთათვის. საკვანძო ანგარიშები ქვეყნდება საჯაროდ.

ვებसाитი: <https://about.bnef.com/> ანგარიში ელექტრო ავტომობილების შესახებ: <https://about.bnef.com/electric-vehicle-outlook/>

## ქარის ენერჯის გლობალური საბჭო (GWEC)

დარგობრივი ასოციაცია აერთიანებს ქარის ენერჯის მწარმოებლებს. მას აქვს სასარგებლო მონაცემთა ბაზა ქარის ენერჯისთან დაკავშირებულ გლობალურ სტატისტიკაზე.

ვებसाитი: <https://gwec.net/>

## ენერგეტიკული გაერთიანება

„ენერგეტიკული გაერთიანება“ საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც თავს უყრის ევროკავშირსა და მეზობელ ქვეყნებს ინტეგრირებული, პანევროპული ენერგეტიკული ბაზრის შესაქმნელად. საქართველო ორგანიზაციის წევრია 2017 წლიდან.

ვებसाитი: <https://www.energy-community.org/implementation/Georgia.html>

# სპეციალიზებული მედია, რომელიც გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებას და ენერგეტიკულ გარდაქმნას აშუქებს

ქვემოთ მოცემულია სპეციალიზებული ონლაინ მედიების სია, რომლებიც ამ საკითხებს საერთაშორისო გადმოსახედიდან, ინგლისურ ენაზე აშუქებენ. მათი მიდევნება შესაძლოა სასარგებლო იყოს ინფორმირებულობისთვის მიმდინარე მოვლენების შესახებ, ისევე როგორც საკითხებზე საერთაშორისო პერსპექტივის გასაგებად და კომპლექსური თემების კონტექსტში გასათვითცნობიერებლად თუ ამბების წყაროების დასადგენად. მასალის ნაწილი, (როგორც წესი ფოტომასალის გარეშე) რომელსაც ეს მედიები ამზადებენ, გამოყენებადია გარკვეული დათქმების შესრულების შემთხვევაში. უმრავლესობა არაკომერციული ორგანიზაციაა. რამდენიმე მათგანი აწარმოებს ყოველდღიურ ან ყოველკვირეულ ელექტრონულ გაზეთს.

## კლიმატის მთავარი სიახლეები (Climate Home News)

სპეციალიზებული საინფორმაციო საშუალება, რომელიც აშუქებს საერთაშორისო გარემოსდაცვით პოლიტიკას, მათ შორის გავრცელებულ კლიმატის კონფერენციებს, და აქვეყნებს როგორც სიახლეებს, ისე ანალიზსა და თვალსაზრისს.

ბმული: <https://www.climatechangenews.com/>

## Clean Energy Wire (CLEW)

ბერლინში დაფუძნებული ეს გამოცემა გერმანიის ენერგეტიკული გარდაქმნის საერთაშორისო აუდიტორიისთვის გასაცნობად შეიქმნა. დღეს ის ფოკუსირებულია ენერგეტიკულ გადასვლაზე მთლიანად ევროპაში. მასალის ნაწილი ეხება გლობალურად რელევანტურ თემებსაც. ამასთან, ვებსაიტი შეიცავს ცნობებს, ამხსნელ დოკუმენტებს და საგამომიებო სერიებსაც. ორგანიზაცია ასევე აწყობს ვებინარებს დარგით დაინტერესებული ჟურნალისტებისთვის.

ბმული: <https://www.cleanenergywire.org/>

## Carbon Brief

ეს ლონდონური გამოცემა სპეციალიზებულია ახალი ამბების და უახლესი კვლევების სიღრმისეულ, სრულყოფილ გაშუქებაში. ის ასევე მოწინავე გამოცემაა ტენდენციების ინფოგრაფიკებით ილუსტრირებაში. ვებსაიტზე განთავსებულია განახლებადი მასალა და მოწვეული მეცნიერების მიერ დაწერილი სტატიები მოვლენების კლიმატის ცვლილებისთვის მიკუთვნების შესახებ. მასალის ნაწილი დიდ ბრიტანეთზეა ორიენტირებული, მაგრამ დიდი ნაწილი რელევანტურია გლობალურად.

ბმული: <https://www.carbonbrief.org/>

## Inside Climate News

ამერიკაში მოქმედი (და დიდწილად მასზე ფოკუსირებული) ეს გამოცემა 15 წელია აშუქებს ახალ ამბებს გარემოს დაცვის შესახებ, განსაკუთრებით გარემოს კორპორაციების მიერ დაბინძურების გარშემო. ამ ტიპის გაშუქებისთვის მიღებული აქვს არაერთი ჟურნალისტური პრემია.

ბმული: <https://insideclimatenews.org/>

## Mongabay

ამერიკული საინფორმაციო მედია, რომელიც აშუქებს არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებას, არამედ ყველა გარემოსდაცვით საკითხს. მასალა ხშირად ამერიკაზეა ფოკუსირებული, თუმცა ბევრი გლობალურად რელევანტური მასალაც, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების შესახებ.

---

ბმული: <https://www.mongabay.com/>

## ReNew Economy

წამყვანი საინფორმაციო საშუალება სუფთა ენერჯიაზე გადასვლის შესახებ. აშუქებს ისეთ საკითხებს, როგორცაა განახლებადი ენერჯია, ელექტრო ავტომობილები, თბური ტუმბო, წყალბადის ელექტროლიზი და ჭკვიანი ელექტროსისტემები, ტექნოლოგია, ეკონომიკა, სოციალური მიმდებლობა. მაუნყებლობს ავსტრალიიდან, თუმცა მასალის უმრავლესობა გლობალურად რელევანტურია.

---

ბმული: <https://reneweconomy.com.au/>

## China Dialogue

გამოცემის გაშუქების თემაა არა ყველაფერი ჩინეთის შესახებ, არამედ ქვეყნის გადასვლა სუფთა ენერჯიაზე და მისი მცდელობები გაუმკლავდეს ისეთ გარემოსდაცვით პრობლემებს, როგორცაა დაბინძურება და გაუტყუერება. გამოცემა რელევანტურია გლობალურად, რადგან ჩინეთი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გლობალურ ეკონომიკაში.

---

ბმული: <https://chinadialogue.net/en/>

## The Conversation

ეს პლატფორმა შეიქმნა იმისთვის, რომ მეცნიერებს მედიის ფილტრის გარეშე, დამოუკიდებლად გაეზიარებინათ მათი ანალიზი და პერსპექტივა. გამოცემა აშუქებს ყველა თემას, თუმცა ენერჯეტიკა და გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიმართულებებია. მიუხედავად იმისა, რომ მასალას მეცნიერები ამზადებენ, რედაქტორები მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ. კარგი წყაროა იდეებისა და საკითხების ახსნისთვის.

---

ბმული: <https://theconversation.com/us/environment>

## Yale Environment 360

იელის უნივერსიტეტის ეს ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში თავს უყრის საინტერესო მიგნებებით სავსე სტატიებს უამრავ გარემოსდაცვით საკითხზე, როგორც წესი გლობალურ ჭრილში.

---

ბმული: <https://e360.yale.edu/>

## DeSmog

ონლაინ ვებსაიტი ამბებისთვის კლიმატის ცვლილების უარყოფის, დეზინფორმაციის, კორუფციის და სხვა პრობლემური კორპორატიული პრაქტიკების შესახებ. ვებსაიტი ასევე აწარმოებს კლიმატის ცვლილების უარყოფელთა მონაცემთა ბაზას.

ბმული: <https://www.desmog.com/>

